

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნაში

ბაქარ მაცაბერიძე

ასისტენტი

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

1994 წლის 6 აპრილს რუანდაში დაწყებული, ათწლეულების განმავლობაში არსებული სამოქალაქო დაპირისპირების ახალი ტალღის შედეგად განხორციელებული გენოციდის, ადამიანის უფლებების მასობრივი და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული მძიმე დარღვევების პასუხად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ, 1994 წლის 8 ნოემბერს რუანდის დროებითი საერთაშორისო ტრიბუნალი იქნა დაფუძნებული, რაც მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართლის ისტორიული განვითარების გზაზე, უდიდეს მნიშვნელობის მქონე და გარდამტეხ მოვლენას წარმოადგენდა.

ტრიბუნალის დაარსების მიუხედავად, ათწლეულების განმავლობაში არ წყდება საერთაშორისო საზოგადოებისა და მეტწილად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კრიტიკა რუანდაში მიმდინარე მოვლენების პასუხად გატარებული ღონისძიებების გამო. აღნიშნული ნაშრომი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ რუანდის ტრიბუნალის დაფუძნებასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზს ისახავს მიზნად.

წინამდებარე სტატიაში, 1994 წლის 6 აპრილიდან 1994 წლის 8 ნოემბრამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოების მიერ, რუანდის დროებითი ტრიბუნალის დაარსებასთან დაკავშირებული საქმიანობის ანალიზის შედეგად, ერთის მხრივ, ტრიბუნალის დაფუძნებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, ხოლო მეორეს მხრივ რუანდაში მიმდინარე მოვლენებთან მიმართებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ქმედებები იქნა ასახული.

საკვანძო სიტყვები: გენოციდი, უშიშროების საბჭო, კონფლიქტი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნაში

ბაჰარ მასბაბერიძე

ასისტენტი

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესავალი

საერთაშორისო სისხლის სამართალს განვითარებას ხანგრძლივი ისტორია აქვს და მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სასამართლოს იდეა მეოცე საუკუნის მიწურულისათვის არ იყო ახალი¹, 1990-იანი წლების დასაწყისამდე ე.წ. „ნიურნბერგისა“² და „ტოკიოს“³ მსგავსი საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალების ჩამოყალიბება ნაკლებად სავარაუდო იყო, თუმცა ყოფილ იუგოსლავიასა და რუანდაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის პასუხად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ შესაბამისი დროებითი საერთაშორისო ტრიბუნალები იქნა დაფუძნებული.⁴

ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის თაობაზე შექმნილი ad hoc⁵ ტრიბუნალები, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ და ამასთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ პირველად დაფუძნებულ საერთაშორისო ტრიბუნალებს წარმოადგენს, რომლებმაც – „საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების შესაძლებლობისა და სიცოცხლისუნარიანობის დემონსტრირება მოახდინეს.“⁶ შესაძლოა, აღნიშნული ტრიბუნალები საერთაშორისო სისხლის და საერთაშორისო საჯარო სამართლის დარგის მკვლევართათვის, გარკვეულწილად, თანაბარმნიშვნელოვან ფენომენად გვევლინებოდეს, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, წინამდებარე სტატია, მხოლოდ რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის დაფუძნებასთან დაკავშირებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის წარმოჩენას ისახავს მიზნად.

1994 წლის 6 აპრილს რუანდაში დაწყებული, ათწლეულების განმავლობაში არსებული სამოქალაქო დაპირისპირების ახალი ტალღისა და განხორციელებული გენოციდის⁷ შედეგად,

¹ Bassiouni, C., 1991 The Time Has Come for an International Criminal Court. Indiana International & Comparative Law Review 1 Ind. Int'l. & Comp. L. Rev.

² იხ: Agreement by The Government of The United Kingdom and Northern Ireland, The Government of The United States of America, The Provisional Government of The French Republic and The Government of The Soviet Socialist Republics for the Prosecution and Punishment of The Major War Criminals of The European Axis. Signed at London, on 8 August 1945.

³ Charter of The International Tribunal For The Far East, Tokyo, 1946.

⁴ Cryer, R., Friman, H., Robinson, D., Wilmschurst, E., 2014. An Introduction to International Criminal Law and Procedure, Third Edition, United Kingdom: Cambridge University Press, Tj International Ltd. Padstow Cornwall, at 127.

⁵ „ad hoc ტრიბუნალი წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ დროებით საერთაშორისო ორგანოს, რომელიც იქმნება ამა თუ იმ სახელმწიფოში ომის ან ადამიანის უფლებათა უხეში დამრღვევი სხვა კონკრეტული ნეგატიური ისტორიული მოვლენების შემდეგ, რათა ამ მოვლენების დროს ჩადენილი საერთაშორისო დანაშაულები, დროებითი ტრიბუნალის წესდების საფუძველზე, უკუძალით იქნეს გასამართლებული“ – ტურავა, მ., 2015, საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძველები, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ.43.

⁶ Ford, S., 2018. The Impact of the Ad Hoc Tribunals on the International Criminal Court: The Legacy of the Ad Hoc Tribunals in International Criminal Law: Assessing the ICTY's and ICTR's Most Significant Legal Accomplishments, Milena Sterio&Michael Scharf eds., Cambridge University Press, at 3-4.

⁷ 1948 წლის 9 დეკემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ, „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისი დასჯის შესახებ“ კონვენცია იქნა მიღებული, რომლის თანახმად, გენოციდი მშვიდობიანობისა თუ ომის დროს, ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით, ჩადენილ საერთაშორისო სამართლებრივ დანაშაულს წარმოადგენს. იხ: General Assembly resolution 260(III), Adoption

სხვადასხვა მონაცემებით, ასი ათასობით ადამიანი იქნა მოკლული.⁸ საერთაშორისო საზოგადოება⁹ და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უძღური აღმოჩნდა გენოციდის ნაადრევი პრევენცია მოხდინა, რომლის ნიშნები 1994 წლის 6 აპრილამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა.¹⁰ რუანდაში მიმდინარე მოვლენების პასუხად, 1994 წლის 8 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ, დროებითი საერთაშორისო ტრიბუნალი იქნა დაფუძნებული.¹¹ აღნიშნულის მიუხედავად, არ წყდება საერთაშორისო საზოგადოებისა და, მეტწილად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კრიტიკა რუანდაში მიმდინარე მოვლენების პასუხად განხორციელებული მოქმედებისა თუ უმოქმედობის გამო, რამეთუ, ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, 1994 წელს რუანდაში მიმდინარე ძალადობა, – „მეორე მსოფლიო ომის (ჰოლოკოსტის) შემდგომ ყველაზე არაორაზროვანი გენოციდის შემთხვევას წარმოადგენდა“¹², ხოლო აღნიშნულის მიუხედავად – „უშიშროების საბჭოს რეაქცია რუანდაში მასობრივ მკვლევლობებზე პოლიტიკურად უადრესად ბუნდოვანი იყო: უშიშროების საბჭომ ბოლომდე მაქსიმალურად შეიკავა თავი პრობლემაში პირდაპირი ჩარევისა და მასობრივი ხოცვის გენოციდად გამოცხადებისაგან“.¹³

წინამდებარე სტატიის მიზანს, ქართულ სამეცნიერო სივრცეში არაჯეროვნად წარმოჩენილი და შესწავლილი რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის დაფუძნებასთან დაკავშირებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებების კვლევა და რუანდაში განვითარებული მოვლენებისადმი, ორგანიზაციის მხრიდან გამოვლენილი პოზიციის წარმოჩენა წარმოადგენს.

1994 წლის 6 აპრილს, დღემდე დაუდგენელი პირების მიერ განხორციელებული სარაკეტო თავდასხმის შედეგად განადგურებული თვითმფრინავის ყველა მგზავრი, მათ შორის ორი ქვეყნის, რუანდისა და ბურუნდის პრეზიდენტი – იუვენალ ჰაბიარიმანა და სიპრიენ ნტარიამირა დაიღუპა. პრეზიდენტების გარდაცვალებასა და ქვეყანაში დაწყებულ ძალადობრივ ქმედებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 1994 წლის 7 აპრილს უშიშროების საბჭოში გამართულ სხდომაზე გამოეხმაურა.¹⁴

უშიშროების საბჭოს სახელით, საბჭოს პრეზიდენტმა, მომხდარი „ტრაგიკული ინციდენტის“ გამო ღრმა შეშფოთება გამოთქვა. უშიშროების საბჭო, გმობდა რა, პრეზიდენტების დაღუპვიდან დაწყებულ ძალადობრივ აქტებს, რუანდის შეიარაღებულ ძალებს, გასამხედროებულ ჯგუფებსა და კონფლიქტში მონაწილე მხარეებს თავდასხმების დასრულებისა და რუანდაში მყოფი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო მისიასთან – უნამირთან¹⁵ თანამშრომლობისაკენ მოუწოდებდა.¹⁶

of the Convention on the Prevention and Punishment of the crime of genocide, and text of the Convention, A/RES/260(III)[A], Art. I-II.

⁸ Des Forges, A., 1999. "Leave None to Tell the Story", Unites States of America: Human Rights Watch, at 15.

⁹ როგორც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალური წარმომადგენელი რენე დენი-სეგიუ, რუანდაში მიმდინარე მოვლენების აღწერისას შენიშნავს – ტერმინი საერთაშორისო საზოგადოება, არა მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოებს, არამედ წევრ სახელმწიფოებს და არასამთავრობო ორგანიზაციებსაც მოიცავს. United Nations, Economic and Social Council, Commission on Human Rights, Report on the Situation of Human Rights in Rwanda Submitted by Mr. R. Degni-Segui, Special Rapporteur of the Commission on Human Rights Under Paragraph 20 of Commission Resolution E/CN.4/S-3/1 of 25 May 1994, E/CN.4/1995/12 (12 August 1994), para. 27.

¹⁰ 1990 წლის 1 ოქტომბერს რუანდის პატრიოტულმა ფრონტმა, (სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ძირითადად 1950-60-იან წლებში რუანდიდან უგანდაში განდევნილი ტუტსი ლტოლვილების შთამომავლებით იყო დაკომპლექტებული) უგანდის ტერიტორიიდან 7000 მებრძოლით, რუანდის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მასირებული სამხედრო იერიში წამოიწყო. საერთაშორისო სამხედრო მხარდაჭერის შედეგად, რუანდის სამთავრობო არმიამ რუანდის პატრიოტული ფრონტის უგანდის საზღვართან განდევნა ერთ თვეში მოახერხა. უკან დახევის მიუხედავად, 1991 წელს რეორგანიზებულმა პატრიოტულმა ფრონტმა, პარტიზანულ ბრძოლებს მიმართა. 1990 წელს რუანდის პატრიოტული ფრონტის მიერ განხორციელებული იერიშის პასუხად, 1990 წლიდან მოყოლებული რუანდაში ტუტსების წინააღმდეგ მიმართული ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევებისა და გენოციდის ფაქტები არ წყდებოდა იხ: The United Nations and Rwanda, 1993-1996 (1996). New York: The United Nations Blue Book Series, Volume X, United Nations Reproduction Section, para. 29-57.

¹¹ Security Council Resolution 955 (1994), Statute of the International Tribunal for Rwanda, S/RES/955 (8 November 1994).

¹² Gourevitch, P., 1999. 'We Wish to Inform You That Tomorrow We Will Be Killed With Our Families'. New York: Farrar, Straus and Giroux, at 170.

¹³ ხუციშვილი, ქ., 2010. გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონკურენტული და კომპლემენტარული კომპეტენციები, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 68.

¹⁴ U.N. SCOR, 49th Sess., 3361st. mtg., U.N. Doc S/PV.3361 (Apr. 7, 1994).

¹⁵ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარების მისია რუანდაში – The United Nations Assistance Mission for Rwanda – UNAMIR – შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ 1993 წელს, შეიარაღებულ დაპირისპირებაში მყოფ მხარეებს (რუანდის ცენტრალური ხელისუფლება და რუანდის პატრიოტული ფრონტი) შორის, 1993 წლის 4 აგვისტოს, მიღწეული სამშვიდობო ხელშეკრულების იმპლემენტაციის მიზნით. Security Council resolution, 872 (1993) S/RES/872, (5 October 1993).

¹⁶ ინციდენტთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭომ, გენერალურ მდივანს მის ხელთ არსებული ყველა საშუალებების

როგორც პრეზიდენტის მიერ გავრცელებული განცხადებიდან ირკვევა, უშიშროების საბჭოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსაგან უკვე ჰქონდა ვერბალურად მიწოდებული ინფორმაცია რუანდაში დაწყებული მასობრივი არეულობებისა და მკვლელობების შესახებ.¹⁷

რუანდაში შექმნილი ვითარების ამსახველი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს-ღალის* მოხსენება, უშიშროების საბჭოს 1994 წლის 20 აპრილს წარედგინა, რომლის თანახმად, 1994 წლის 6 აპრილს მომხდარი ინციდენტის მიზეზების დადგენა სრულფასოვანი გამოძიების გარეშე შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ ამავე მოხსენებაში გენერალური მდივანი, დანაშაულებრივი ქმედებების ეთნიკურ ნიადაგზეც მიაჩნებდა, – „როგორც ჩანს ძალადობას აქვს როგორც პოლიტიკური ასევე ეთნიკური განზომილება“ – ნათქვამია მოხსენებაში.¹⁸ ამასთან, ღალის მოსაზრებით, რუანდის სამთავრობო ძალების მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო მისიის შემადგენლობაში მყოფი 10 ბელგიელი ჯარისკაცის მკვლელობის,¹⁹ 19 აპრილს მისიის დაცვის ქვეშ მყოფ მშვიდობიან მოსახლეობაზე და უშუალოდ სამშვიდობოების შტაბბინაზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის ფონზე, უნამირის მიერ საკუთარი მანდატის განხორციელება შეუძლებელი გახდა. აღნიშნულ ვითარებას, ბელგიის მთავრობის მიერ საკუთარი სამხედრო კონტიგენტის დაუყოვნებლივი გაყვანაც დაერთო,²⁰ რამაც – „გართულებად ვითარებაში ახალი კრიტიკული ელემენტი შემოიტანა.“²¹

შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე, გენერალური მდივანი საბჭოს სამ წინადადებას, სამ ალტერნატივას სთავაზობდა, რომელთა შორის: პირველი უნამირის კონტიგენტის რამდენიმე ათასი სამხედროთი გაზრდას, მისიისათვის მანდატის შეცვლას და გაეროს წესდების მეშველედ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების მინიჭებას გულისხმობდა. მეორე ალტერნატივის თანახმად, მისიის მხოლოდ მცირე ნაწილი რჩებოდა კიგალიში, ხოლო მესამე წინადადება, რუანდიდან სამშვიდობოების სრულ გაყვანას ისახავდა მიზნად.²² უშიშროების საბჭოს წევრებმა

გამოყენებით, ინფორმაციის შეგროვებისა და უმოკლეს ვადაში, საბჭოსათვის წარედგინა თხოვნით მიმართა. იხ: United Nations, Security Council, Statement by the President of the Security Council, S/PRST/1994/16 (7 April 1994).

* ათწლეულების განმავლობაში ქართულს სამცხე-საბურთის ოლქის რეპრეზენტაცია თუ მედია სივრცეში, ბუტროს ბუტროს-ღალის სახელის არასწორი ინტერპრეტაცია დამკვიდრდა, რაც თავის მხრივ, 1990-იან წლების დასაწყისიდან მოყოლებული, რუსულ თუ ინგლისურენოვანი ლიტერატურისა თუ მასმედით გავრცელებული ინფორმაციის არასწორი თარგმანის პირდაპირი შედეგია. გამომდინარე იქიდან, რომ ინგლისურ და რუსულ ენებში არ ვხვდებით ასო-ბგერა – „ღ“-ს (რაც ჩანაცვლებულ იქნა ასო-ბგერა – „გ“-თი), ხოლო წარმოშობით ევგვიპტელი დიპლომატის სახელი, მის მშობლიურ – არაბულ ენაზე გამოითქმის როგორც – „ღ“ – ღალი, მართებულია, სწორი ფორმა დამკვიდრდეს.

¹⁷ არსებული ინფორმაციით, მრავალი ადამიანი მათ შორის, რუანდის მთავრობის წევრები, (ქვეყნის პრემიერ-მინისტრი) მშვიდობიანი მოსახლეობა, და როგორც მინიმუმ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო მისიაში მყოფი ათი ბელგიელი სამხედრო იყო მოკლული. იხ: United Nations, Security Council, Statement by the President of the Security Council, S/PRST/1994/16 (7 April 1994).

¹⁸ United Nations, Security Council, Special report of the Secretary-General on the United Nations Assistance Mission for Rwanda, S/1994/470 (20 April 1994), para. 2.

¹⁹ ბელგიელი სამხედროების მოკვლის პასუხად, ქვეყნის მთავრობამ 1994 წლის 13 აპრილს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რუანდაში მყოფი სამშვიდობო მისიის დაუყოვნებლივ შეწყვეტის წინადადებით მიმართა. ბელგიის მთავრობის პოზიციის თანახმად, ისინი აცნობიერებდნენ, რომ რუანდაში მოქმედი ექსტრემისტები, ანტიბელგიურ კამპანიას ეწეოდნენ და მოსახლეობას მათი მკვლელობებისაკენ მოუწოდებდნენ, რის შედეგადაც მათ უკვე დაკარგეს 10 სამხედრო. შესაბამისად, უნამირის მანდატით ბელგიური სამხედრო კონტიგენტის ყოფნა მთლიანად მისიისათვის გაუმართლებელი რისკის მატარებელი შეიძლება ყოფილიყო. ბელგიის მთავრობის შეფასებით, რუანდაში უნამირის არსებობა იყო უმედეგო და მისი მოქმედება, სამშვიდობო პროცესისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნამდე, დაუყოვნებლივ, უნდა მომხდარიყო. იხ: United Nations, Security Council, Letter Dated 13 April 1994 From The Permanent Representative of Belgium to The United Nations Addressed to The President of the Security Council, S/1994/430 (13 April 1994).

²⁰ 15 აპრილს ბელგიის მთავრობამ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრიდან შემდგომში მისაღები ნებისმიერი შინაარსის გადაწყვეტილების მიუხედავად, რუანდიდან ბელგიური სამხედრო კონტიგენტის სრულ და დაუყოვნებლივი გაყვანა მოითხოვა. იხ: United Nations, Security Council, Letter Dated 15 April 1994 From The Permanent Representative of Belgium to The United Nations Addressed to The President of The Security Council S/1994/446 (15 April 1994).

²¹ United Nations, Security Council, Special report of the Secretary-General on the United Nations Assistance Mission for Rwanda, S/1994/470 (20 April 1994), para. 4-6.

²² აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს, თავად გენერალური მდივანი ეწინააღმდეგებოდა, რადგან მისი მოსაზრებით, იკვეთებოდა გარემოება იმისა, რომ უახლოეს მომავალში ვითარება არ დასტაბილურდებოდა, მეტიც, სრულიად შესაძლებელი იყო, რომ ანალოგიური სურათი, რუანდის იმ მეზობელ სახელმწიფოებშიც განვითარებულიყო, სადაც ის ეთნიკური ჯგუფები იყვნენ წარმოდგენილნი, რომლებიც რუანდაში უერთიერთდაპირისპირებულ ჯგუფებს შეადგენდნენ. United Nations, Security Council, Special report of the Secretary-General on the United Nations Assistance Mission for Rwanda, S/1994/470 (20 April 1994), para.12-19.

გენერალური მდივნის მიერ შემოთავაზებულ ე.წ. მეორე ალტერნატივას ერთხმად დაუჭირეს მხარი,²³ რაც თავის მხრივ, რუანდაში დარჩენილი 1,705 კაცისაგან შემდგარი სამშვიდობო კონტიგენტის 200-300 წარმომადგენლამდე შემცირებას გულისხმობდა.²⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო მისიის მეთაურის გენერალ რომეო დალერის მიხედვით, მხოლოდ უშიშროების საბჭოს პრეზიდენტი კოლინ კიტინგი იყო მომხრე სამშვიდობო მისიის პირადი შემადგენლობის გაზრდისა.²⁵

21 აპრილის რეზოლუციის ერთხმად მიღების მიუხედავად, 29 აპრილს ბუტროს-ლალიმ უშიშროების საბჭოსაგან მისი გადახედვა ითხოვა, რამეთუ, მისი განცხადებით, 6 აპრილის ინციდენტის შემდგომი განვითარებულმა ძალადობამ კვლავ გააღვიძა ეთნიკური შუღლი, რომლის შედეგად, უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ მიმართულ მასობრივ ანგარიშსწორებას ჰქონდა ადგილი.²⁶ გენერალური მდივნის მოსზრებით, „არსებული კატასტროფის“ შეჩერება და აღკვეთა, მხოლოდ წესრიგის აღდგენით იყო შესაძლებელი, რაც სამშვიდობოებისათვის მინიჭებულ მანდატს სცდებოდა. უშიშროების საბჭოსადმი მიწერილ წერილში დალი ასევე აღნიშნავს, რომ მომავალში, იმ მასშტაბებით იქნებოდა საჭირო დამატებითი, როგორც მატერიალური ასევე ადამიანური, რესურსების გამოყენება, რაზეც წევრ სახელმწიფოებს წარსულში არ ჰქონდათ საუბრის სურვილი – თუმცა, შექმნილი მდგომარეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სხვა ალტერნატივას არ უტოვებდა.²⁷ გენერალური მდივნის პოზიციის მიუხედავად, უშიშროების საბჭოს მორიგ სხდომაზე, რუანდაში მყოფი მისიის კონტიგენტის გაზრდის საკითხი არ იქნა განხილული.

30 აპრილს უშიშროების საბჭოს პრეზიდენტმა კიტინგმა, დაგმო რა, რუანდაში მიმდინარე ძალადობა, კონფლიქტში მონაწილე მხარეებს დამნაშავე პირთა სამართლებრივი დევნისაკენ მოუწოდა. ამასთან, საბჭომ კონფლიქტის მხარეებს შეახსენა, რომ მსგავსი ტიპის ქმედებების ხელშეწყობა და მათში მონაწილეობა, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გამომწვევი მიზეზი შეიძლება გამხდარიყო. ხსენებულ კონტექსტში, უშიშროების საბჭომ ასევე განაცხადა, რომ გარკვეული ეთნიკური ჯგუფების წევრთა მკვლელობა, ჩადენილი მათი მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას წარმოადგენდა.²⁸ აღნიშნულით საბჭომ, მართალია უშუალოდ ტერმინი – „გენოციდის“²⁹ გამოყენებისაგან თავი შეიკავა, თუმცა, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ რუანდაში გენოციდის შესაძლო აქტს ჰქონდა ადგილი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უშიშროების საბჭოს წინაშე მორიგი მოხსენებით 1994 წლის 13 მაისს წარსდგა, რომელშიც იგი, რუანდაში მყოფი უნამირის პირადი შემადგენლობის გაზრდას ითხოვდა.³⁰ საკითხთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭოს, 16 მაისს, რეზოლუციის პროექტი წარედგინა,³¹ რომელიც მომდევნო დღეს, საბჭოს მიერ იქნა მხარდაჭერილი.³²

²³ U.N. SCOR, 49th Sess., 3368th. mtg., U.N. Doc S/PV.3368 (Apr. 21, 1994).

²⁴ Security Council resolution 912 (1994) On Adjustment of the Mandate of the UN Assistance Mission for Rwanda Due to the Current Situation in Rwanda and Settlement of the Rwandan Conflict, S/RES/912 (21 April 1994).

²⁵ Dallaire, R., 2003. Shake Hands With the Devil: The Failure of Humanity in Rwanda, Canada: Random House Canada, at 298.

²⁶ დალის ანგარიშის თანახმად ძალადობის ტალღამ, არა მხოლოდ დაედაქალაქი კიგალი, არამედ ქვეყნის სამხრეთ რეგიონებიც მოიცვა და შედეგად, ბოლო სამი კვირის განმავლობაში დაღუპულთა საერთო რაოდენობა 200 000 აღემატებოდა. იხ: United Nations, Security Council, Letter Dated 29 April from The Secretary-General Addressed to the President of The Security Council, S/1994/518 (29 April 1994)

²⁷ Ibid, at 2.

²⁸ U.N. SCOR, 49th Sess., 3371st. mtg., U.N. Doc S/PV.3371 (Apr. 30, 1994).

²⁹ ტერმინი გენოციდი პირველად 1944 წელს, იურისტ რაფაელ ლემკინის მიერ, ევროპის კონტინენტზე ჰიტლერული გერმანიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფი ერების განადგურების მიზნით განხორციელებული საოკუპაციო პოლიტიკის აღსანიშნად იქნა გამოყენებული. ლემკინის თანახმად – „გენოციდით ჩვენ ვგულისხმობთ ეროვნული ან ეთნიკური ჯგუფის განადგურებას. ახალი სიტყვა ავტორის მიერაა მოგონილი რათა აღინიშნოს ძველი პრაქტიკა მის თანამედროვე განვითარებაში. შედეგადაც ძველბერძნული სიტყვისაგან *genos* (რასა, ტომი) და ლათინური სიტყვისაგან *cide* (მკვლელობა). შესაბამისად ის თავისი ფორმირების კუთხით ისეთ სიტყვებს შეესაბამება როგორცაა ჰომოციდი, ინფანტიციდი, ტირანიციდი და სხვა. ზოგადად რომ ვთქვათ, გენოციდი არ გულისხმობს ერის დაუყოვნებლივ განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ერის ყველა წევრის მასობრივი მკვლელობით მიიღწევა.“ იხ: Lemkin, R., 1944. Axis Rule in Occupied Europe, laws of Occupation, Analysis of Government, Proposals for Redress, Washington: Rumford Press, at 79.

³⁰ United Nations, Security Council, Report of The Secretary-General on the Situation in Rwanda, S/1994/565 (13 May 1994).

³¹ იხ: United Nations, Security Council, Draft Resolution, S/1994/571 (16 May 1994).

³² რეზოლუციის პროექტი 14 სახელმწიფოს მიერ იქნა მხარდაჭერილი. რუანდის (რუანდა ამ პერიოდში უშიშროების საბჭოს დროებითი წევრის სტატუსით სარგებლობდა) წარმომადგენელმა რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა. U.N. SCOR, 49th Sess., 3377th. mtg., U.N. Doc S/PV.3377 (May 16, 1994), at 10-11.

ამავე რეზოლუციის შესაბამისად, უშიშროების საბჭომ, ხაზი გაუსვა რა გარემოებას, რომ რუანდაში არსებული სიტუაცია მთლიანად რეგიონის მშვიდობასა და უსაფრთხოებას უქმნიდა საფრთხეს, ორგანიზაციის წესდების მეშვიდე თავით გათვალისწინებული ქმედებები³³ ამოქმედდა და რუანდას სამხედრო ემბარგო დაუწესა. ამასთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, უმოკლეს ვადაში, რუანდაში მიმდინარე კონფლიქტის დროს ჩადენილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევების შესახებ, შესაბამისი მოხსენების წარმოდგენა ეთხოვა.³⁴

რეზოლუციის აღსრულების მიზნით, გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლები რუანდაში 1994 წლის 22-27 მაისის ჩათვლით იმყოფებოდნენ, რომელთა მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემუშავებული მორიგი მოხსენება, უშიშროების საბჭოს 31 მაისს წარედგინა. აღსანიშნავია, რომ ღალი, რომელიც მოცემულ მოხსენებაში, რუანდაში არსებულ უშიშროების მდგომარეობას აღწერს, აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, კოლექტიური პოლიტიკური ნების არ არსებობის გამო, აღექვატური გადაწყვეტილებების მიღება ვერ უზრუნველყო და ფაქტობრივად, ადამიანთა მკვლელობებს ჩუმად შეეგუა.³⁵ ამასთან, რუანდაში მიმდინარე მოვლენების შეფასებისას, მოცემულ მოხსენებაში პირველად გვხვდება ტერმინი „გენოციდი“ – „წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, ეჭვს არ იწვევს, რომ ადგილი აქვს გენოციდს, რამეთუ სახეზეა ფართომასშტაბიანი მკვლელობები ოჯახებისა, რომლებიც კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს განეკუთვნებიან“³⁶ – ნათქვამია მოხსენებაში.³⁷ გენერალური მდივნის მიერ „გენოციდის“ ხსენების შემდგომ, ჯერი უშიშროების საბჭოზეც მიდგა, რომელმაც რუანდაში მიმდინარე მოვლენების შეფასებისას, 8 ივნისის ნომერ 925 რეზოლუციაში ასევე გამოიყენა აღნიშნული ტერმინი, თუმცა მოცემული რეზოლუცია სამართალდამრღვევი პირების პასუხისგებაში მიცემის კონკრეტულ მექანიზმებს არ შეიცავდა.³⁸

1994 წლის პირველ ივლისს რუანდის ტრიბუნალის შექმნის გზაზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ, უმნიშვნელოვანესი, მორიგი, N935 რეზოლუცია იქნა მიღებული, რომელიც სრულად დამნაშავეების გამოვლენისა და მათი პასუხისგებაში მიცემას ეხებოდა. რეზოლუციის თანახმად, უშიშროების საბჭო, კვლავინდებურად გმობდა რა, რუანდაში მიმდინარე სისტემატურ, ფართომასშტაბიან, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებულ ნორმების უხეშ დარღვევებსა და გენოციდს, აცხადებდა, რომ ზემოხსენებული დარღვევების ჩამდენი ყველა ფიზიკური პირი ინდივიდუალურად იყო პასუხისმგებელი და ისინი მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ. ხსენებული ამოცანის განხორციელების მიზნით, საბჭომ, გენერალურ მდივანს, რუანდის ტერიტორიაზე განხორციელებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული მძიმე დარღვევებისა და გენოციდის შესაძლო აქტებთან დაკავშირებით შესაბამისი მტკიცებულებებისა და ფაქტების გენერალური მდივნისათვის წარდგენის მიზნით, მიუკერძოებელი ექსპერტთა კომისიის შექმნის თხოვნით მიმართა.³⁹ ბუტროს ბუტროს-ღალის გადაწყვეტილებით, სამი წევრისაგან შემდგარ ექსპერტთა კომისიას⁴⁰ ინფორმაციის

³³ იხილეთ მშვიდობისათვის დამუქრების, მშვიდობის დარღვევისა და აგრესიის აქტების მიმართ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მეშვიდე თავით გათვალისწინებული მოქმედებანი, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, 2008. თბილისი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, გვ. 18-22.

³⁴ Security Council Resolution 918 (1994), S/RES/918 (17 May 1994).

³⁵ United Nations, Security Council, Report of the Secretary-General on The situation in Rwanda, S/1994/640 (31 May 1994), para. 43.

³⁶ Ibid, para. 36.

³⁷ აღსანიშნავია, რომ რამოდენიმე დღით ადრე გენოციდი, ისრაელის მთავრობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში იყო ნახსენები, რომლის თანახმად, ისრაელის მთავრობა – „შეძრული იყო რუანდაში განხორციელებული გენოციდით“. ისრაელის ხელისუფლების პოზიციის თანახმად, ებრაელი ხალხი, რომელთაც ნაცისტური კატასტროფის შედეგად, ყველაზე მძიმე გამოცდა გადაიტანა და საკუთრივ სახელმწიფო ისრაელი ვერ იქნებოდა უმოქმედო დამკვირვებლის როლში და ის რუანდელი ხალხის დახმარების მიზნით, საერთაშორისო საზოგადოებას გადაუღებელი მოქმედებისაკენ მოუწოდებდა United Nations, Security Council, Letter Dated 23 May 1994 from the Permanent Representative of Israel to The United Nations Addressed to The Secretary-General, S/1994/608 (24 May 1994).

³⁸ Security Council resolution 925 (1994), S/RES/925 (8 June 1994).

³⁹ თავის მხრივ, გენერალურ მდივანს, უშიშროების საბჭოსათვის, ექსპერტთა კომისიის მიერ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე, კომისიის შექმნიდან არაუგვიანეს ოთხი თვისა, შემდგომი „შესაფერისი“ ნაბიჯებისათვის საჭირო რეკომენდაციები უნდა წარედგინა Security Council resolution 935 (1994), S/RES/935 (1 July 1994).

⁴⁰ ღალის გადაწყვეტილებით, კომისიის წევრებად, ადამიანის უფლებების აფრიკული კომისიის წევრი, ტოგოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი – ატსუ-კოფი ამეგა, გინეის გენერალური პროკურორი – ჰაბი დიენი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სამართლის კომისიის წევრი,

შეგროვებისა და გენერალური მდივნისათვის წარდგინების ვადა, არაუგვიანეს 30 ნოემბრით განესაზღვრა.⁴¹

დამოუკიდებელი ექსპერტთა კომისიის შუალედური ანგარიშის შესაბამისად, გამოიკვეთა გარემოება, რომლის თანახმად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული ნორმებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებებს კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარის მიერ ჰქონდა ადგილი, ხოლო გენოციდის შემთხვევაში, კომისიის მოსაზრებით, გენოციდი, მხოლოდ ჰუტუების წარმომადგენლების მიერ იქნა ჩადენილი, რომლებიც გეგმაზომიერად, სისტემატურად და მეთოდურად, უსწორდებოდნენ ტუტსებს.⁴² აღსანიშნავია, რომ რუანდაში განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩამდენ პირებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას, კომისია უპირატესობას არა ეროვნულ, არამედ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის განხორციელებას ანიჭებდა,⁴³ რამეთუ, ასეთი სახის მძიმე დანაშაულების, ეროვნული სასამართლოს განხილვის შემთხვევაში, პროცესები შეიძლება ანგარიშსწორებაში გადაზრდილიყო, რაც, სამართლიანი სასამართლოს შესაძლებლობას ბუნებრივად, გამოირიცხავდა. ექსპერტთა მოსაზრების შესაბამისად, რუანდაში მიმდინარე მოვლენები გასცდა მის საზღვრებსა და მოცემულ შემთხვევაში, მართლმსაჯულების მიზანს, არა მხოლოდ, დამნაშავეების სამართლიანი დასჯა, არამედ მომავალში მსგავსი ფაქტების პრევენციაც წარმოადგენდა.⁴⁴ აღსანიშნავია, რომ კომისია მიზანშეწონილად, უკვე არსებული, იუგოსლავიის ტრიბუნალის წესდებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით, ტრიბუნალის იურისდიქციის გაზრდასა და მის მიერ რუანდაში ჩადენილი დანაშაულებრივი აქტების განხილვას მიიჩნევდა.⁴⁵ რუანდის საკითხთან მიმართებით, საერთაშორისო მართლმსაჯულების განხორციელების იდეა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში პირველად ექსპერტთა კომისიის დასკვნაში არ გაუღერებულა. 1994 წლის 28 ივნისს, ორგანიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, სპეციალური წარმომადგენლის – რენე დენი სეგუს ანგარიში წარედგინა, რომელშიც ავტორი ორგანიზაციას, სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს შექმნამდე, რუანდის თაობაზე შესაბამისი დროებითი ტრიბუნალისა ან ალტერნატივის სახით, არსებული იუგოსლავიის ტრიბუნალის იურისდიქციის გაფართოების მოწოდებით მიმართავდა.⁴⁶

ექსპერტთა კომისიის მიერ წარმოდგენილი მოხსენებისა და შესაბამისი რეკომენდაციის განხილვის პროცესი საბოლოოდ, 8 ნოემბერს დასრულდა. 1994 წლის 6 აპრილიდან, თითქმის, შვიდი თვის თავზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ, „1994 წლის 1 იანვრიდან 1994 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, რუანდის ტერიტორიაზე და რუანდის მოქალაქეების მიერ მეზობელ სახელმწიფოებში, გენოციდის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული მძიმე დარღვევებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში პასუხისმგებელი პირების სამართალში მიცემის, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების, ქვეყანაში ეროვნული შერიგების, მშვიდობის აღდგენისა და ხელშეწყობის მიზნით,“ რუანდის საერთაშორისო დროებითი ტრიბუნალი იქნა დაფუძნებული.⁴⁷

რუანდამ, რომელიც აღნიშნულ პერიოდში უშიშროების საბჭოს არამუდმივმოქმედი წევრის სტატუსით სარგებლობდა, ტრიბუნალის შექმნას მხარი არ დაუჭირა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რამდენიმე თვით ადრე მსგავსი ტრიბუნალის დაარსების თხოვნით თავად მიმართა.⁴⁸

საერთაშორისო სამართლის პროფესორი – სალიფუ ფომბა, იქნა შერჩეული. United Nations, Security Council, Letter Dated 29 July 1994 from Secretary-General Addressed to the President of The Security Council, S/1994/906 (29 July 1994).

⁴¹ United Nations, Security Council, Report of the Secretary-General on the Situations in Rwanda, S/1994/924 (3 August 1994), para. 30.

⁴² United Nations, Security Council, Letter Dated 1 October 1994 from the Secretary-General Addressed to the President to the Security Council, S/1994/1125 (4 October 1994). at 1-2.

⁴³ Ibid, para. 150.

⁴⁴ Ibid, para. 133-142.

⁴⁵ Ibid, at 2.

⁴⁶ United Nations, Economic and Social Council, Commission on Human Rights, Report on the Situation of Human Rights in Rwanda Submitted by Mr. R. Degni-Segui, Special Rapporteur of the Commission on Human Rights Under Paragraph 20 of Commission Resolution E/CN.4/S-3/1 of 25 May 1994, E/CN.4/1995/7 (28 June 1994).

⁴⁷ Security Council Resolution 955 (1994), S/RES/955 (8 November 1994), Art. I.

⁴⁸ United Nations, Security Council, Letter dated 28 September 1994 from the permanent representative of Rwanda to the United Na-

გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში მყოფი რუანდის წარმომადგენელი, ქვეყნის ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას რიგი მიზეზებით ხსნიდა, კერძოდ: ელჩის განცხადებით, არაადეკვატური იყო სასამართლოს წესდებით გათვალისწინებული იურისდიქცია, რომელიც 1994 წლის 1 იანვრიდან 1994 წლის 31 დეკემბრით შემოიფარგლებოდა, რამეთუ, გენოციდი, რომლის მომსწრეც საერთაშორისო თანამეგობრობა 1994 წლის აპრილში შეიქმნა, მხოლოდ შედეგი იყო ხანგრძლივი მზადებისა, „რომლის დროსაც განადგურების საპილოტე პროექტები წარმატებით ხორციელდებოდა.“⁴⁹ რუანდის წარმომადგენელს მაგალითის სახით, 1990-იანი წლების დასაწყისში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მომხდარი ინციდენტები მოჰყავდა, რომელიც, მისივე განცხადებით, საერთაშორისო საზოგადოებისათვის 1994 წლის აპრილამდეც იყო ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ, 1993 წელს რუანდაში მყოფი დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტების მიერ, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები გენოციდად იქნა შეფასებული.⁵⁰ შესაბამისად, რუანდის ხელისუფლება, სასამართლოსათვის იურისდიქციის ათვლას 1990 წლის 1 ოქტომბრიდან, რუანდის პატრიოტული ფრონტის მიერ განხორციელებული სამხედრო იერიშის დაწყებიდან, 1994 წლის 17 ივლისამდე მოითხოვდა.⁵¹

რუანდის ხელისუფლება ასევე ეწინააღმდეგებოდა მოცემულობას, რომლის თანახმად, შეზღუდული ფინანსური⁵² და ადამიანური რესურსების გამო ტრიბუნალი იძულებული იყო, მხოლოდ რიგი საქმეები განეხილა, შესაბამისად ყველა დამნაშავე პირი უშუალოდ ტრიბუნალის მიერ პასუხისგებაში ვერ იქნებოდა მიცემული, რაც რუანდის ელჩის განცხადებით, ტრიბუნალის ერთერთი უმთავრესი მიზნის – ქვეყანაში ეროვნული შერიგების პროცესისა და ახალი საზოგადოების ფორმირების მიღწევას ხელს შეუშლიდა.⁵³ ამასთან, რუანდის ხელისუფლება, როგორც მომავალში გამართლებული რუანდელების ქვეყნის გარეთ სასჯელის მოხდას, ასევე უშუალოდ ტრიბუნალის გამართვის ადგილს არამართებულად მიიჩნევდა.⁵⁴ აღნიშნულ საკითხებთან პარალელურად, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ხელისუფლება ყველაზე დიდ უკმაყოფილებას სანქციის სახის შეფარდების კუთხით გამოთქვამდა.

ელჩის განცხადებით, საერთაშორისო მართლმსაჯულების შემთხვევაში, სასჯელის სახით სიკვდილით დასჯა არ იყო გათვალისწინებული, მაშინ როდესაც, რუანდის ეროვნული კანონმდებლობით აღნიშნული ღონისძიების გამოყენება ნებადართული იყო. ელჩის ვარაუდით, საერთაშორისო სასამართლოს წინაშე, მხოლოდ ის მაღალი თანამდებობის პირები წარდგებოდნენ, რომლებიც გენოციდის დაგეგმვა, მომზადებასა და მის ორგანიზებაში იყვნენ ეჭვმიტანილნი. შესაბამისად, აღნიშნული პირები თავს დააღწევდნენ სიკვდილით დასჯას, მაშინ როდესაც, გენოციდის რიგითი შემსრულებლები, რუანდის ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, უფრო მკაცრი სასჯელით, სასიკვდილო განაჩენით იქნებოდნენ დასჯილნი. აღნიშნული გარემოება კი, თავის მხრივ, გარკვეულ უთანასწორობას ქმნიდა, რაც საბოლოოდ, ეროვნული ერთობის მიღწევას შეუშლიდა ხელს.⁵⁵

tions Addressed to the President of the Security Council, S/1994/1115 (29 September, 1994).

⁴⁹ U.N. SCOR, 49th Sess., 3453th. mtg., U.N. Doc S/PV.3453 (Nov. 8. 1994), at 14.

⁵⁰ Report of the International Commission of Investigation on Human Rights Violations in Rwanda Since October 1, 1990, (January 7-21, 1993), Federation Internationale Des Droits De l'Homme – FIDH, Union Inter africaine Des Droits De l'Homme Et Des Peuples – UIDH, Centre Internationale Des Droits De la Personne Et Du Developpement Democratique – CIDPDD/ICHRDD, Africa Watch, at 51.

⁵¹ U.N. SCOR, 49th Sess., 3453th. mtg., U.N. Doc S/PV.3453 (Nov. 8. 1994), at 15.

⁵² საგულისხმოა, რომ მართალია, არა ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის, არამედ ყოფილ იუგოსლავიასთან მიმართებით 1992 წელს დაარსებული საგამოძიებო კომისიისათვის შესაბამისი მატერიალური თუ ფინანსური მხარდაჭერის არ არსებობის გამო, კომისიის პირველმა თავმჯდომარემ საკუთარი თანამდებობა დატოვა. იხ: Cryer, R., Friman, H., Robinson, D., Wilmshurst, E., 2014. An Introduction to International Criminal Law and Procedure, Third Edition, United Kingdom: Cambridge University Press, Tj International Ltd. Padstow Cornwall, at 128

⁵³ საფრანგეთის წარმომადგენლის განცხადებით, დამნაშავეთა დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, ყველა პირი საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე ვერ წარსდგებოდა შესაბამისად, ტრიბუნალს თავად უნდა გადაეწყვიტა თუ, რომელი შემთხვევების გამოძიებით დაკავდებოდა. ამასთან, დანარჩენი დამნაშავეები კვლავინდებურად მოექცეოდნენ, როგორც რუანდის, ასევე სხვა სახელმწიფოების ეროვნული იურისდიქციის ქვეშ: იხ: U.N. SCOR, 49th Sess., 3453th. mtg., U.N. Doc S/PV.3453 (Nov. 8. 1994), at 3.

⁵⁴ 1995 წლის 22 თებერვალს, უშიშროების საბჭოს მიერ, ტრიბუნალის ადგილსამყოფელად ქალაქი არუშა (ტანზანია) განისაზღვრა. Security Council Resolution 977 (1994), S/RES/977 (22 February 1994).

⁵⁵ ახალი ზელანდიის წარმომადგენლის განცხადებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უკვე წლების განმავლობაში ცდილობდა აეკრძალა სიკვდილით დასჯა შესაბამისად, აღნიშნული ქმედება უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა და მისი ქვეყანა არასოდეს დაუჭერდა მხარს ისეთი საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნას, რომელსაც სასიკვდილო განაჩენის

რუანდის ხელისუფლების უკმაყოფილების მიუხედავად, დაარსებული დროებითი ტრიბუნალი, დროის მცირე მონაკვეთში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილ რიგით მეორე საერთაშორისო ტრიბუნალს წარმოადგენდა, რომელთაც მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს იდეისადმი ინტერესის განახლება გამოიწვია.

მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს შექმნის იდეისადმი ინტერესი და იმედი, უშუალოდ რუანდის ტრიბუნალის დაარსების დღესაც გამოიკვეთა. რუსეთის ფედერაციის ელჩის გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში, სერგეი ლავროვის განცხადების შესაბამისად – „საერთაშორისო ტრიბუნალების დაარსება იუგოსლავიისა და ახლა, უკვე რუანდის თაობაზე, აძლიერებს ჩვენს რწმენას, მასზედ, რომ უხლოეს მომავალში მუდმივმოქმედი სასამართლო უნდა ჩამოყალიბდეს“.⁵⁶ თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთის ელჩს ეფიქრა, რომ 14 წლის შემდგომ, საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში თავად მოუწევდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის შეტყობინების გაგზავნა, მასზედ, რომ მისი ქვეყანა, არ აპირებს, ამ დროისათვის უკვე არსებული, მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირებას, რაც თავის მხრივ, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოსა და უკრაინის მიმართ განხორციელებული აგრესიის შედეგად, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ დაწყებულ გამოძიებას უკავშირდება.⁵⁷

დასკვნა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესახებ ყველაზე ცნობილი ფრაზა, რომელიც ორგანიზაციის არსს საუკეთესოდ წარმოაჩენს, 1961 წლის 18 სექტემბერს, რუანდის მეზობელ კონგოში არსებული შეიარაღებული კონფლიქტის მოგვარების მისიით მიმავალ, რუანდისა და ბურუნდის პრეზიდენტების მსგავსად დღემდე დაუდგენელი მიზეზით განცდილი ავიაკატასტროფის შედეგად ტრაგიკულად დაღუპულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, დაგ ჰამარშელდს ეკუთვნის, რომლის თანახმად, „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, არა კაცობრიობის სამოთხეში შესაყვანად, არამედ მისი ჯოჯოხეთისაგან დასაცავად შეიქმნა“. დღეს, არსებული და ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1994 წელს, ვერ უზრუნველყო რიგითი რუანდელების „ჯოჯოხეთიდან“ ხსნა, რაც ბუნებრივია, სიმართლეს შეესაბამება და ამაზე შესაბამისი ფაქტებიც თავად მეტყველებს. რუანდის 1994 წლის ტრაგედიასთან დაკავშირებით, ორგანიზაციის მიერ განცდილი მარცხი ბუტროს ბუტროს-ლალისაც არაერთგზის უღიარებია მომავალში, თუმცა, როგორც გენერალური მდივანი უშიშროების საბჭოს წინაშე გაკეთებულ 31 მაისის მოხსენებაში აღნიშნავს – „გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, კოლექტიური პოლიტიკური ნების არ არსებობის გამო, ადექვატური გადაწყვეტილებების მიღება ვერ უზრუნველყო“. გარდა ამისა, თუ რუანდაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალური წარმომადგენლის, რენე დენი-სეგიუს მიერ გაუღერებულ იდეას განვავრცობთ, რომლის თანახმად, საერთაშორისო საზოგადოება, არა მხოლოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოებს, არამედ წევრ სახელმწიფოებს და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებსაც მოიცავს და თუ უშიშროების საბჭოში რუანდის საკითხის გარშემო 1994 წლის 6 აპრილიდან განვითარებულ მოვლენებს სიღრმისეულად გავაანალიზებთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ რუანდის ტრაგედია, არა მხოლოდ და მითუმეტეს – არა მარტო, როგორც ცალკე აღებული ორგანიზაციის, მისი სხვადასხვა ორგანოების, გენერალური მდივნისა თუ პერსონალის, არამედ მთელი „საერთაშორისო საზოგადოებისა“ და მეტწილად, უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების არაჯეროვანი, არათანმიმდევრული და დაგვიანებული ქმედებისა თუ უმოქმედობის შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ყველაზე დიდ, მძლავრ, უნივერსალურ გაერთიანებას წარმოადგენს, საბოლოოდ, ის „უბრალო“ პოლიტიკურ ორგანიზაციად გვევლინება, სადაც წესდებას ამოფარებული სახელმწიფოები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ. თუმცა,

გამოტანის უფლება ექნებოდა. U.N. SCOR, 49th Sess., 3453th. mtg., U.N. Doc S/PV.3453 (Nov. 8. 1994), at 5.

⁵⁶ Ibid, at 2-3.

⁵⁷ „Москва Защитилась от Гааги“, Новая Газета, <https://novayagazeta.ru/articles/2016/11/16/70557-pochemu-rossiya-otkazalas-ratifikirovat-rimskiy-statut-mezhdunarodnogo-ugolovnogo-suda> (Июнь 21 2020)

არსებული ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე დაგვიანებული ინტერვენციის მიუხედავად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ხანგრძლივი დისკუსიებისა და მომქანცველი მუშაობის შედეგად, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მქონე დროებითი საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა გახდა შესაძლებელი – ტრიბუნალისა, რომელზეც, კაცობრიობის ისტორიაში პირველად, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობა ისეთი მძიმე დანაშაულის გამო განესაზღვრა როგორც გენოციდია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის დაარსება, სწორედ ისეთი სახის კოლექტიური ნების გამოვლინებაა, რომლისკენაც საერთაშორისო სამართლის სუბიექტები მომავალში უნდა ისწრაფოდნენ. ყველა ზემოხსენებული, და ხშირ შემთხვევაში, დამსახურებული კრიტიკის მიუხედავად, ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის ტრიბუნალების დაფუძნება, საერთაშორისო თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Bassiouni, C., 1991 The Time Has Come for an International Criminal Court. *Indiana International & Comparative Law Review* 1 *Ind. Int'l. & Comp. L. Rev.* (In English).
- Agreement by The Government of The United Kingdom and Northern Ireland, The Government of The United States of America, The Provisional Government of The French Republic and The Government of The Soviet Socialist Republics for the Prosecution and Punishment of The Major War Criminals of The European Axis. Signed at London, on 8 August 1945. (In English).
- Charter of The International Tribunal for The Far East, Tokyo, 1946. (In English).
- Cryer, R., Friman, H., Robinson, D., Wilmschurst, E., 2014. *An Introduction to International Criminal Law and Procedure*, Third Edition, United Kingdom: Cambridge University Press, Tj International Ltd. Padstow Cornwall, at 127. (In English).
- Turava, M., 2015, *Fundamentals of International Criminal Law*, Tbilisi: „Meridiani”, at 43. (In Georgian).
- Ford, S., 2018. *The Impact of the Ad Hoc Tribunals on the International Criminal Court: The Legacy of the Ad Hoc Tribunals in International Criminal Law: Assessing the ICTY's and ICTR's Most Significant Legal Accomplishments*, Milena Sterio & Michael Scharf eds., Cambridge University Press, at 3-4. (In English).
- General Assembly resolution 260(III), Adoption of the Convention on the Prevention and Punishment of the crime of genocide, and text of the Convention, A/RES/260(III)[A], Art. I-II. (In English).
- Des Forges, A., 1999. 'Leave None to Tell the Story', *Unites States of America: Human Rights Watch*, at 15. (In English).
- United Nations, Economic and Social Council, Commission on Human Rights, Report on the Situation of Human Rights in Rwanda Submitted by Mr. R. Degni-Segui, Special Rapporteur of the Commission on Human Rights Under Paragraph 20 of Commission Resolution E/CN.4/S-3/1 of 25 May 1994, E/CN.4/1995/12 (12 August 1994), para. 27. (In English).
- The United Nations and Rwanda, 1993-1996 (1996). New York: The United Nations Blue Book Series, Volume X, United Nations Reproduction Section, para. 29-57. (In English).
- Security Council Resolution 955 (1994), Statute of the International Tribunal for Rwanda, S/RES/955 (8 November 1994). (In English).
- Gourevitch, P., 1999. 'We Wish to Inform You That Tomorrow We Will Be Killed With Our Families'. New York: Farrar, Straus and Giroux, at 170. (In English).
- Khutsishvili, K., 2010, *Conquering and Complementary Competencies of the United Nations Security Council and International Criminal Court*, Tbilisi, University Publishing, at 68. (In Georgian).
- U.N. SCOR, 49th Sess., 3361st. mtg., U.N. Doc S/PV.3361 (Apr. 7, 1994). (In English).

- Security Council resolution, 872 (1993) S/RES/872, (5 October 1993). (In English).
- United Nations, Security Council, Statement by the President of the Security Council, S/PRST/1994/16 (7 April 1994). (In English).
- United Nations, Security Council, Statement by the President of the Security Council, S/PRST/1994/16 (7 April 1994). (In English).
- United Nations, Security Council, Special report of the Secretary-General on the United Nations Assistance Mission for Rwanda, S/1994/470 (20 April 1994), para. 2. (In English).
- United Nations, Security Council, Letter Dated 13 April 1994 From The Permanent Representative of Belgium to The United Nations Addressed to The President of the Security Council, S/1994/430 (13 April 1994). (In English).
- United Nations, Security Council, Letter Dated 15 April 1994 From The Permanent Representative of Belgium to The United Nations Addressed to The President of The Security Council S/1994/446 (15 April 1994). (In English).
- United Nations, Security Council, Special report of the Secretary-General on the United Nations Assistance Mission for Rwanda, S/1994/470 (20 April 1994), para. 4-6. (In English).
- United Nations, Security Council, Special report of the Secretary-General on the United Nations Assistance Mission for Rwanda, S/1994/470 (20 April 1994), para.12-19. (In English).
- U.N. SCOR, 49th Sess., 3368th. mtg., U.N. Doc S/PV.3368 (Apr. 21, 1994). (In English).
- Security Council resolution 912 (1994) On Adjustment of the Mandate of the UN Assistance Mission for Rwanda Due to the Current Situation in Rwanda and Settlement of the Rwandan Conflict, S/RES/912 (21 April 1994). (In English).
- Dallaire, R., 2003. Shake Hands With the Devil: The Failure of Humanity in Rwanda, Canada: Random House Canada, at 298. (In English).
- United Nations, Security Council, Letter Dated 29 April from The Secretary-General Addressed to the President of The Security Council, S/1994/518 (29 April 1994) (In English).
- Ibid, at 2.
- U.N. SCOR, 49th Sess., 3371st. mtg., U.N. Doc S/PV.3371 (Apr. 30, 1994) (In English).
- Lemkin, R., 1944. Axis Rule in Occupied Europe, laws of Occupation, Analysis of Government, Proposals for Redress, Washington: Rumford Press, at 79. (In English).
- United Nations, Security Council, Report of The Secretary-General on the Situation in Rwanda, S/1994/565 (13 May 1994). (In English).
- United Nations, Security Council, Draft Resolution, S/1994/571 (16 May 1994). (In English).
- U.N. SCOR, 49th Sess., 3377th. mtg., U.N. Doc S/PV.3377 (May 16, 1994), at 10-11. (In English).
- International Organizations Law, 2008. Tbilisi: Law Firm „Bona Causa“, at 18-22. (In Georgian).
- Security Council Resolution 918 (1994), S/RES/918 (17 May 1994). (In English).
- United Nations, Security Council, Report of the Secretary-General on The situation in Rwanda, S/1994/640 (31 May 1994), para. 43. (In English).
- Ibid, para. 36.
- United Nations, Security Council, Letter Dated 23 May 1994 from the Permanent Representative of Israel to The United Nations Addressed to The Secretary-General, S/1994/608 (24 May 1994). (In English).
- Security Council resolution 925 (1994), S/RES/925 (8 June 1994). (In English).
- Security Council resolution 935 (1994), S/RES/935 (1 July 1994). (In English).
- United Nations, Security Council, Letter Dated 29 July 1994 from Secretary-General Addressed to the President of The Security Council, S/1994/906 (29 July 1994). (In English).

United Nations, Security Council, Report of the Secretary-General on the Situations in Rwanda, S/1994/924 (3 August 1994), para. 30. (In English).

United Nations, Security Council, Letter Dated 1 October 1994 from the Secretary-General Addressed to the President of the Security Council, S/1994/1125 (4 October 1994). at 1-2. (In English).

Ibid, para. 150.

Ibid, para. 133-142.

Ibid, at 2.

United Nations, Economic and Social Council, Commission on Human Rights, Report on the Situation of Human Rights in Rwanda Submitted by Mr. R. Degni-Segui, Special Rapporteur of the Commission on Human Rights Under Paragraph 20 of Commission Resolution E/CN.4/S-3/1 of 25 May 1994, E/CN.4/1995/7 (28 June 1994). (In English).

Security Council Resolution 955 (1994), S/RES/955 (8 November 1994), Art. I.

United Nations, Security Council, Letter dated 28 September 1994 from the permanent representative of Rwanda to the United Nations Addressed to the President of the Security Council, S/1994/1115 (29 September 1994). (In English).

U.N. SCOR, 49th Sess., 3453th. mtg., U.N. Doc S/PV.3453 (Nov. 8. 1994), at 14. (In English)

Report of the International Commission of Investigation on Human Rights Violations in Rwanda Since October 1, 1990, (January 7-21, 1993), Federation Internationale Des Droits De l'Homme – FIDH, Union Interfrancophone Des Droits De l'Homme Et Des Peuples – UIDH, Centre Internationale Des Droits De la Personne Et Du Developpement Democratique – CIDPDD/ICHRDD, Africa Watch, at 51. (In English).

U.N. SCOR, 49th Sess., 3453th. mtg., U.N. Doc S/PV.3453 (Nov. 8. 1994), at 15. (In English).

Cryer, R., Friman, H., Robinson, D., Wilmshurst, E., 2014. An Introduction to International Criminal Law and Procedure, Third Edition, United Kingdom: Cambridge University Press, Tj International Ltd. Padstow Cornwall, at 128 (In English).

U.N. SCOR, 49th Sess., 3453th. mtg., U.N. Doc S/PV.3453 (Nov. 8. 1994), at 3. (In English).

Security Council Resolution 977 (1994), S/RES/977 (22 February 1994). (In English).

U.N. SCOR, 49th Sess., 3453th. mtg., U.N. Doc S/PV.3453 (Nov. 8. 1994), at 5. (In English).

Ibid, at 2-3.

“Moscow Defends Itself from The Hague”, “Novaia Gazeta”, (viewed 28 May 2020), available from:

<https://novayagazeta.ru/articles/2016/11/16/70557-pochemu-rossiya-otkazalas-ratifitsirovat-rimskiy-statut-mezhdunarodnogo-ugolovnogo-suda> (In Russian).